ხელშეკრულება № 306

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

30 ნოემბერი 2015 წელი

ჩოხატაური

ერთი მხრივ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი გამგეობის **ირაკლი კუჭავას** სახით და მეორე **მხრივ, ი.მ „ტარიელ ბარამიძე"-ს სახით.** ვდებთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე: საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულება

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურება მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „სამუშაოს" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

შესყიდვის ობიექტი: --- **სოფლის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები (დ:ღ:გ): ჩიკატაურში შიდა გზების შეკეთების სამუშაოები.** CPV კოდი-45200000

2 წლის განმავლობაში პრეტედენტი ვალდებულია შესრულებული სამუშაოების ხარისხზე. ხარვეზი უნდა აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **595 (ხუთასოთხმოცდათხუთმეტი)** ლარს.

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.4 წინასწარი გადახდის მექანიზმი გამოიყენება წარმოდგენილი საავანსო საბანკო ან სადაზღვევო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის შესაბამისად არაუმეტეს ხელშეკრულების ფასის **20%**-ისა.

4.5 გარანტიის ვადა 1 თვით უნდა აღემატებოდეს შესრულების ვადას.

5. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

5.1 სამუშაო ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დანიშნული ინსპექტირების ჯგუფი.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს მიღება ჩაბარების აქტი ფორმა N2-ის სახით.

5.4 სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის მიერ დაქირავებული სამშენებლო მანქანა-მექანიზმებისა და ინვენტარის ქირავნობის ღირებულება შესრულებული სამუშაოების აქტში გათვალისწინებული უნდა იყოს ზედწადები ხარჯების და გეგმური მოგების დარიცხვის გარეშე.

6. სამუშაოს მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 სამუშაო განხორციელდება საპროექტო დოკუმენტაციაში მითითებულ მისამართზე. ჩოხატაური, წერეთლის ქუჩა N2

6.2. სამუშაოს მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 2015 წლის 30 ნოემბრიდან 2015 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

6.3 სამუშაოს მიწოდება მოხდება შემსყიდველის და მიმწოდებლის მიერ დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს სამუშაო ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს სამუშაოს სათანადო ხარისხით.

7.5 2 წლის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია მისი მიზეზით გამოწვეული ხარვეზები აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით.

7.6 მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს გამოყენებულ მასალებზე ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატები, ლაბორატორიული დასკვნები და სხვა დოკუმენტაცია.

7.7მიმწოდებელი ვალდებულია ფარული სამუშაოების შესრულების დროს აცნობოს ინსპექტირების ჯგუფს ფარული სამუშაოს შესახებ აქტის შედგენის მიზნით.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურება შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2. ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დანიშნული ინსპექტირების ჯგუფი.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.4 მიმწოდებლის მიერდაზუსტებული გეგმა გრაფიკის მიხედვით სამუშაოს შესრულებლობის შემთხვევაში დაერიცხება პირგასამტეხლო გრაფიკით შეუსრულებული სამუშაოს ღირებულების 0,2% ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10.6.შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოს შესრულების გეგმა გრაფიკის დარღვევის "შემთხვევაშინებისმიერ ეტაპზე შეუწყვიტოს ხელშეკრულება ხელშეკრულების პირობების არაჯეროვნად შესრულების გამო.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე. თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით როგორიც წყალდიდობაა,ხანძარი,მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები. აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

11.2.მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს მაჟორული სისტემის დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. ხელშეკრულების შესრულებისა და მოქმედების ვადები

12.1 ხელშეკრულების შესრულების ვადაა 2015 წლის 30 ნოემბრიდან 2015 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

12.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2015 წლის 30 ნოემბრიდან 2016 წლის 20 იანვრის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი" ---------- ი. კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი
საინდ/კოდი 242008705

„მიმწოდებელი" ---------- ტ.ზარამიძე

ი.მ „ტარიელ ზარამიძე"
საინ/კოდ 46001000511
ს.ს. ლიბერთი ბანკის
ჩოხატაურის ფილიალი
საინდ. კოდი LIBERTI22
ანგ. №GE12LB0711177907909001